ხელშეკრულება № 19
ინტერნეტით მომსახურებაზე

ქ. გორი „30" 12 ------------------ 2013 წ.

შ.პ.ს. "მმ ნეთვორქსი" შემდგომში "შემსრულებელი წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გივი ცერაძის სახით, ერთ მხრივ და
"[illegible]--------ს.ს.ი.პ ,,იაკობ გოგებაშვილის სახლ მუზეუმი" [illegible]

შემდგომში "დამკვეთი" მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:
წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს იმ პირობების ერთობლიობას, რომელთა მიხედვითაც შ.პ.ს. "მმ ნეთვორქსი" ახორციელებს ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის მომსახურების გაწევას მათი ინტერნეტ ქსელში ჩართვის მიზნით.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "შემსრულებლი" მოემსახურება "დამკვეთს" ინტერნეტ რესურსებში ჩართვით WIFI ტექნოლოგიის გამოყენებით;
1.2 "დამკვეთი" ყოველთვიურად გადაუხდის "შემსრულებელს" თანხას შეთანხმებული ტარიფის მიხედვით.

2. მომსახურების გაწევის წესი და პირობები

3.1 "მომსახურების" გაწევის წინა მოსამზადებელი სამუშაოები იწყება მხოლოდ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ.

3.2 WIFI -ს აპარატული უზრუნველყოფის მონტაჟის (ინსტალაცია) საფასურია 110 აშშ დოლარის ექვივალენტი (189.20 ლარი) ეროვნული ბანკის კურსით დადგენილი წესით.
3.3 "მომსახურების" მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შემდეგ "შემსრულებელი" იწყებს WIFI -ს აპარატული უზრუნველყოფის მონტაჟს „დამკვეთის" მხარეს, ამასთან ,,შემსრულებლის" მიერ დამონტაჟებული აპარატურა წარმოადგენს მხოლოდ ,,შემსრულებლის" საკუთრებას, რომელსაც იგი დროებითი სარგებლობის უფლებით გადასცემს დამკვეთს. აღნიშნული ხელშკრულების ვადის განმავლობაში, მომსახურეობის ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს WIFI -ს აპარატული მოწყობილების დემონტაჟი.
3.4 WIFI-ს აპარატული უზრუნველყოფის მონტაჟისა და "მომსახურები"ს შემოწმების შემდეგ, "მხარეებს" შორის დგება გასაწევი მომსახურების ხარისხის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენს "მხარეთა" შორის ფინანსური ანგარიშგების დაწყების საფუძველს.

მხარეთა ვალდებულებები

3."დამკვეთის" უფლება-მოვალეობები

3.1 "დამკვეთი" ვალდებულია დაფაროს "შემსრულებელის" მიერ გაწეული მომსახურების გადასახადი ყოველი თვის 4 რიცხვამდე.
3.2 "დამკვეთი" – ს მიერ ანგარიშსწორების ვადების დაგვიანების შემთხვევაში "მმ ნეთვორქსი" უფლებამოსილია დავალიანების დაფარვამდე შეუჩეროს მომსახურება.
3.3 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, "დამკვეთი" ქსელში ხელახალი ჩართვისთვის იხდის 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნული ბანკის კურსით დადგენილი წესით.
ერთჯერად გადასახადს.
3.4 "დამკვეთი" ვალდებულია ისარგებლოს "შემსრულებლის" "მომსახურებით" მხოლოდ კანონიერი მიზნით.
3.5 "დამკვეთი" ვალდებულია "მომსახურების" ფორმისა და ტარიფების ცვლილების შესახებ " შემსრულებლის" შეტყობინების მიღებიდან სამი დღის ვადაში დააფიქსიროს თავისი პოზიცია აღნიშნული ცვლილებების თაობაზე.
3.6 "დამკვეთის" მიზეზით მომხდარი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს "მომსახურების" მიწოდების შეფერხება არ ათავისუფლებს დამკვეთს მომსახურების ღირებულების გადასახადისაგან და იგი ვალდებულია სრულად გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული "მომსახურების" ღირებულება.
3.7 "დამკვეთი" ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციული უსაფრთხოება შ.პ.ს. "მმ ნეთვორქსი"-ს ქსელთან მიმართებაში, არ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც შეზღუდავს ან დააბრკოლებს, ქსელის სხვა "მომხმარებელს" ინტერნეტის ნებისმიერი ქსელით სარგებლობაში. დამკვეთის ასეთი ქმედება გამოიწვევს მის გამორთვას ქსელიდან.

4. "შემსრულებლის" უფლება-მოვალეობები

4.1 "შემსრულებელი" ვალდებულია გაუწიოს "დამკვეთს" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული "მომსახურება" ხელშეკრულებასა და შეთანხმებაში მითითებული პირობების დაცვით.
4.2 "შემსრლებელი" ვალდებულია შეატყობინოს "დამკვეთს" მომსახურების ტარიფების შეცვლის შესახებ 14 კალენდარული დღით ადრე "დამკვეთის" მიერ მიწოდებულ სატელეფონო ნომერზე ინფორმაციის გადაცემით.
4.3 "შემსრულებელი" უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად შეცვალოს მომსახურების განხორციელებაზე დადგენილი ტარიფი.
4.4 "შემსრულებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს "დამკვეთს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ამ ხელშეკრულებით მიღებული მომსახურების სახეს და მის ღირებულებას ირჩევს "დამკვეთი" "შემსრულებლის" მიერ წარდგენილი "სატარიფო განაკვეთის" საფუძველზე;

| გლობალური სიჩქარე კბ/წმ | ლოკალური სიჩქარე მბ/წმ - მდე | საბონენტო გადასახადი |
|---|---|---|
| 512კბ – 1მბ მდე | 1მბ – 3მბ მდე | 35ლარი |

5.3 "მომსახურების" ღირებულების გადახდა "დამკვეთის" მიერ წარმოებს ყოველთვიურად წინასწარ ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების სახით. (დამკვეთს ასევე უფლება აქვს გადაიხადოს რამდენიმე თვის წინასწარ).
5.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში " დამკვეთის" "ავანსიდან" დარჩენილი თანხა შემსრულებლის მიერ უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
5.5 "დამკვეთი" ვალდებულია მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა იმ შემთხვევაშიც როდესაც მან არ ან ვერ მიიღო მომსახურება შემსრულებელისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის "მხარეთა" მიერ ამ ხელშეკრულების ან შეთანხმების ხელმოწერისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან.
6.2 ხელშეკრულება მოქმედებს 6 თვით ძალაში შესვლის თარიღიდან. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე "მხარეები" არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელდება მომდევნო ექვსი თვის ვადით. აღნიშნული მექანიზმი მოქმედებს ყოველი შემდგომი ვადის დასრულების შემთხვევაში.
6.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) "მხარეთა" შეთანხმებით;
ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების "მხარეთა" მიერ შეუსრულებლობის გამო;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 "შემსრულებელი" თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მესამე პირის მიერ "დამკვეთის" საინფორმაციო სისტემაში შეღწევის შემთხვევაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.
8.2 მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

9. სხვა დებულებები

9.1 "მმ ნეთვორქსი" იტოვებს უფლებას ქსელის სრულყოფისა და განვითარებასთან დაკავშირებით ( ახალი მაგისტრალების ჩართვა, ტექნიკური საშუალებეის ჩართვა მოდიფიცირება, ქსელის კონფიგურაციის შეცვლა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა) მოახდინოს ქსელის გარკვეული მონაკვეთების დროებითი გათიშვა აბონენთთან წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

9.2 "დამკვეთს" საშუალება აქვს გამოიყენოს სტანდარტული რესურსი. " შემსრულებელი" არ არის ვალდებული "დამკვეთის" მიერ საკუთარ კომპიუტერში დაყენებული სერვისული პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის ხარისხზე.

9.3 "შემსრულებელი" არ არის პასუხისმგებელი დამკვეთის მიერ ინტერნეტის ქსელით გაცვლილი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.*

9.4 ამ ხელშეკრულების რეგულირება , მისი მართვა და ინტერპეტაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან და შეასრულონ საქართველოს კანონმდებლობა.

9.5 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოებში.

9.6 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შპს "მმნეთვორქსი"

ს/კ 218081867

იურ. მის: გორი, ცხინვალის გზ. 19/8

ფაქტიური მის: გორი, პუშკინის 2ა

ბანკი: ს/ს „თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგ # GE93TB4335236020100002

დირექტორი: გივიცერაძე

ხელმოწერა ____

სახელი, გვარი / ორგანიზაცია
_ს.ს.ი.პ ,,იაკობ გოგებაშვილის სახლ მუზეუმი''

პირადი ნომერი / საიდ. კოდი

___210808190_______________

მისამართი

__გორის რაიონი სოფ ვარიანი__

ტელეფონი__599220267________

ხელმოწერა ____

# მიღება-ჩაბარების აქტი

ერთის მხრივშპს „მმ ნეთვორქსი“- ს წარმომადგენელმა --მიხეილ ნადირაძემ----------

(სახელი, გვარი)

გადავეცი დროებითი სარგებლობის უფლებით შემდეგი სახის აპარატურა:

1. ------------**Airgrid M5--HP**--------------------------

2. -----------**24:A4:3C:76:4A:3A**----------------------------

3. ----------------------------------------------------------------

და მეორეს მხრივ მივიღე მე, -----ნათელა ადუაშვილმა------- ზ/ აღნიშნული

(სახელი, გვარი)

აპარატურა დროებით სარგებლობაში.

მიღება-ჩაბარების აქტს ვადასტურებთჩვენი ხელმოწერით:

გადავეციშპს „მმ ნეთვორქსი“-ს წარმომადგენელმა : ---------------------------------------

(ხელმოწერა)

მივიღე; ---------------------------------------------------------

(ხელმოწერა)

თარიღი:30/ 12/ 2013წელი

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

ფორმა NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
14.02.2005 წ. N84 ბრძანებით

დადასტურებული

| 1 | ეა-36 0768317 |
|---|---|

| 3 | დეკემბერი | 2013 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 30 | დეკემბერი | 2013 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი თვე სიტყვიერად, წელი)

**5 გამყიდველი**

| 5,1 | 2 | 1 | 8 | 0 | 8 | 1 | 8 | 6 | 7 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5,2 | შ.პ.ს ,,მმ ნეთვორქს" (,,MM Networks") |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

**6 მყიდველი**

| 6,1 | 2 | 1 | 8 | 0 | 8 | 0 | 1 | 9 | 0 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6,2 | სსიპ "იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი" |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ინსტალაციის საფასური | მომსახურება | | 189,2000 | 28,8600 | 0,0000 |
| | | სულ | 189,2 | 28,86 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა________________________________ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა________________________________ ბ.ა.